



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური  
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

## ბრძანება

N 35  
14/01/2019

### თამაზ ბულავრიშვილისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2017 წლის 20 მარტის N404 ბრძანებით **თამაზ ბულავრიშვილი** (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილი კორპ.34ვ ბ 15), დარეგისტრირდა აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-A-691189). 2017 წლის 28 ნოემბერს წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 667/17) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2017 წლის 30 ნოემბრიდან - 2018 წლის 29 ნოემბრამდე, ხოლო განახლებული პოლისი, რომელიც გაცემულია 2018 წლის 09 ნოემბერს, წარმოდგენილია 2018 წლის 07 დეკემბერს, რომლის თანახმადაც, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2018 წლის 30 ნოემბრიდან - 2019 წლის 29 ნოემბრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში კანონი) მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

„აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი)

გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორი ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის, თუმცა თამაზ ბულავრიშვილის მიერ აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით - 2018 წლის 07 დეკემბერს. ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თამაზ ბულავრიშვილი დაჯარიმდეს 100 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6)

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

